კიტა აბაშიძე და «ჩვენი ახალგაზრდობა» - გიორგი წერეთელი

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

წყაროს ანალიზი

შესავალი

- ეს სავარჯიშო შეიძლება ჩავატაროთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში. ასევე, შესაძლებელია დავალება მივცეთ როგორც წერით, ასევე ზეპირად.
- წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონი შესაძლებელია მოვარგოთ პრაქტიკულად ნებისმიერ წყაროს.

დავალება:

- მოსწავლეები უნდა გაეცნონ წყაროს ანალიზის შაბლონს
- მოსწავლეები უნდა გაეცნონ გიორგი წერეთლის სტატიას - „კიტა აბაშიძე და «ჩვენი ახალგაზრდობა»“-ს.
- მონაწილეებმა წყაროს ანალიზის შაბლონის მიხედვით პუნქტობრივად უნდა გააანალიზონ სერგეი მესხის სტატია.
- მონაწილეები წარმოადგენენ საკუთარ პასუხებს აუდიტორიის წინაშე. სტატიის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია ყველა პუნქტზე პასუხი არ მოიძებნოს. მაშინ, მონაწილეები ამ პუნქტებს გამოტოვებენ, მაგრამ იმსჯელებენ, თუ რატომ არ არის სტატიაში კონკრეტულ პუნქტებზე პასუხი.

წერილობითი წყაროს ანალიზის შაბლონი

1. წყაროს იდენტიფიკაცია

<u>ა) რა სახის დოკუმენტია?</u>
გაზეთი, დღიური, ჩანაწერი, ზეპირი გადმოცემა, მატიანე და სხვა.

<u>ბ) ვინაა ამ წყაროს ავტორი და რა ვიცი მის/მათ შესახებ?</u>
ეს მნიშვნელოვანია ტექსტის უტყუარობის გასაგებად.

<u>გ) როდის შეიქმნა ეს წყარო?</u>
ეს მნიშვნელოვანია წყაროს კონტექსტის გასაგებად. მაგ., თუ წყარო შეიქმნა ლაშა გიორგის დროს, მაშინ ამ მეფეზე თვალთახედვა სხვაგვარი იქნება, ხოლო, თუ ეს წყარო შექმნილია გვიან - მაშინ სხვა.

<u>დ) სად შეიქმნა ეს წყარო?</u>
ამას მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მაგ., სირიის ომის შესახებ რუსეთში და აშშ-ში შექმნილი წყარო სხვადასხვაგვარი იქნება.

2. როგორია წყაროს კონტექსტი?

<u>ა) რა იცით ამ წყაროს ისტორიული კონტექსტის შესახებ?</u>
ეს აუცილებელია, რადგანაც საჭიროა ვიცოდეთ - რა ისტორიულ გარემოში დაიწერა ეს წყარო? რა ხდებოდა მაშინ ირგვლივ? და სხვა.

<u>ბ) როგორ დამოკიდებულებაშია წყაროს შემქმნელი ამ წყაროში აღწერილ ისტორიულ მოვლენებთან?</u>
მაგ., იყო თუ არა ეს ადამიანი წყაროში აღწერილი საპროტესტო მოძრაობის მომხრე ან მოწინააღმდეგე. რა პოსტი ეკავა მას? რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო და სხვა.

<u>გ) რატომ შექმნა წყაროს ავტორმა კონკრეტულად ასეთი წყარო?</u>
ჩვენ გვინდა ვიცოდეთ წყაროს შემქმნელის მოტივაცია. ეს შესაძლებელია, თუ გვეცოდინება ისტორიული კონტექსტი. როგორ ფიქრობთ, ეს იყო კერძო დოკუმენტი, თუ განკუთვნილი იყო სხვებისთვის? წყაროს აუდიტორია იყო მიზნობრივი - მაგ., თანასოფლელები ან თანამოქალაქეები ან ოჯახის წევრები, ფართო საზოგადოება, მომავალი თაობები და სხვა. ავტორი ცდილობს, დაამტკიცოს რაიმე თვალთახედვა ან შეხედულება, თუ არის ყოველდღიური ამბების ჩანაწერები? ხომ არ ცდილობს, აუდიტორია შეცდომაში შეიყვანოს?

3.წყაროს კვლევა

<u>ა) რა ფაქტობრივი ინფორმაციაა გადმოცემული ამ წყაროში?</u>
ზოგიერთ წყაროს შეუძლია ფასეული ფაქტობრივი ინფორმაცია მოგვაწოდოს. თუმცა, არის ხშირი შემთხვევები, როდესაც წყაროში მოყვანილი ამბები არ არის ზუსტი ან დამახინჯებულია. ამიტომ საჭიროა, ვიფიქროთ იმაზე, თუ რამდენად და სად არის შესაძლებელი ამ ფაქტების გადამოწმება.

<u>ბ) რა შეხედულებაა გადმოცემული წყაროში?</u>

რადგანაც პირველადი წყარო ძირითადად ერთი ადამიანის თვალსაზრისს გადმოსცემს, ამიტომ მისი ობიექტურობის ხარისხი შედარებით მაღალი უნდა იყოს.
რა აზრი შეიძლება ამოვიკითხოთ წყაროში ისეთი, რომელიც ავტორის განხილვის საგანს არ წარმოადგენდა ან მას უნებლიეთ გაეპარა?

<u>გ) რა არ არის ნათქვამი (გამოტოვებული) წყაროში?</u>
ხანდახან, ის რაც არ არის ნათქვამი წყაროში, უფრო საინტერესოა, ვიდრე ის, რაც წერია. ჰკითხეთ საკუთარ თავს, რას ველოდი ამ წყაროსგან და რა ვერ აღმოვაჩინე. მაგ., წერილში, რომელიც დაწერილია 1921 წლის 26 თებერვალს საერთოდ არ არის ნახსენები საქართველოს ოკუპაცია. დაისმის კითხვა, რატომ არ ახსენა წერილის ავტორმა ეს ფაქტი: არ იცოდა? არ იყო მისთვის მნიშვნელოვანი ან იმისთვის, ვისაც ამ წერილს წერდა. შესაძლებელია, ეს ფაქტი იმდენად ცნობილი იყო ყველასთვის, რომ მასზე წერა ავტორმა არ ჩათვალა საჭიროდ და სხვა.

დ) რა არის საკვირველი, მოულოდნელი და საინტერესო წყაროში?
წყაროს გაცნობის შემდეგ გამონახეთ დრო ამაზე ფიქრისთვის. დასვით შემდეგი შეკითხვები: რა ისწავლეთ და რა არ იცოდით მანამდე? რომელი დეტალები იყო თქვენთვის საინტერესო? რას არ მოელოდით და რას წააწყდით წყაროში ისეთს, რომელზეც მანამდე არ გიფიქრიათ?

ე) რა ვერ გავიგე ამ წყაროში?
არის ისეთი სიტყვები, რომლებიც არ მესმის? ნახსენებია ის ადამიანები და მოვლენები, რომელსაც არ ვიცნობ? მოიფიქრეთ, თუ სად შეიძლება ამ ინფორმაციის მოძიება.

4. წყაროს ანალიზი

ა) როგორ გადმოსცემს წყაროს ავტორი ინფორმაციასა და საკუთარ თვალსაზრისს?

ხანდახან მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რას ამბობს ავტორი, არამედ ის, თუ როგორ ამბობს თავის სათქმელს. რა ხერხებს იყენებს აზრის გადმოსაცემად და ა. შ. მაგ., იყენებს თუ არა იუმორს? სარკაზმს? მოუწოდებს პატრიოტიზმისკენ ან დანაშაულისკენ? მიმართავს რელიგიურ პრინციპებს? ლოგიკურ არგუმენტებს? რამდენად ემოციურია ნაწარმოები?

ბ) როგორი არის წყაროში აღწერილი სამყარო და როგორ განსხვავდება ეს სამყარო ჩემი სამყაროსგან?
იფიქრეთ იმაზე, თუ სად და როდისაა შექმნილი ეს წყარო. რას ფიქრობენ ან სწამთ წყაროს ავტორსა და მის ირგვლივ მყოფებს? როგორია მათი სამყარო და წარმოდგენები? რომელი მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს წყაროს ავტორის სამყაროსა და შენს სამყაროს შორის? რა განცდები დაგეუფლებოდათ, თუ წყაროს ავტორის ადგილას დააყენებდით საკუთარ თავს?

გ) რა რეაქცია ჰქონდათ თანამდროვეებს ამ წყაროს შინაარსის გაცნობის შემდეგ?

რამდენად მიიღეს თანამდროვეებმა და ავტორის გარშემომყოფებმა ამ წყაროში გადმოცემული იდეები? იყვნენ თუ არა ისეთი ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ეთანხმებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ წყაროში გადმოცემულ იდეებს ან მის შინაარსს; დაასაბუთე შენი მოსაზრება. წარმოიდგინე, როგორ გადმოსცემდა წყაროში აღწერილ შინაარსსა და იდეებს იმ დროს და იმ გარემოში მცხოვრები სხვა ადამიანი (განსხვავებული ასაკის, სქესის, სოციალური ფენის, ნაციონალობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის). მაგ., როგორ გადმოსცემდა ქართველი გლეხი „დიდ თურქობას“ ან როგორ გადმოსცემდა გერმანელი ჯარისკაცი სტალინგრადის ბრძოლას.

5. წყაროს შეფასება

ა) რა მსგავსება და განსხვავებაა ამ წყაროსა და სხვა წყაროებს (ამავე თემაზე) შორის?

წაგიკითხავთ სხვა წყაროები, რომელიც მსგავსია ამ წყაროსი? რა არის მათში მოთხრობილი? არის თუ არა ამ წყაროში მოთხრობილი ამბავი იდენტური სხვა წყაროების შინაარსისა, თუ ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.
გახსოვდეთ, თუ თქვენი წყარო არ მოგვითხრობს იმას, რასაც სხვა წყაროები, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი ტყუილ ინფორმაციას გადმოგვცემენ ან თქვენი წყაროს შინაარსია მცდარი. შესაძლებელია, ყველა წყარო სიმართლის მატარებელია, უბრალოდ ისინი განსხვავებულ თვალსაზრისს გადმოსცემენ. შესაძლებელია, ერთი წყაროს ავტორის ცხოვრება და გამოცდილება არ ემთხვეოდეს უმრავლესობის ცხოვრებასა და გამოცდილებას. მაგ., ორი წყარო დიდი დეპრესიის შესახებ შესაძლებელია, აბსოლუტურად განსხვავებულ თვალსაზრისსა და ინფორმაცია გვაწვდიდეს, თუ ერთი მათგანი ეკუთვნის ღარიბ ადამიანს, ხოლო მეორე - მდიდარს. ისინი შეიძლება გადმოგვცემენ ფასეულ ინფორმაციას განსხვავებული თვალსაზრისების შესახებ, რომლებიც ფასეული იქნება აშშ-ს ისტორიის ამ დრამატული მოვლენის შესახებ. ამიტომ საჭიროა, განვიხილოთ ყველა ის მიზეზი, რაც განასხვავებს ამ წყაროებს, სანამ მივიღებდეთ გადაწყვეტილებას მათგან ერთ-ერთზე უარის თქმისა როგორც უვარგისს წყაროზე.

<u>ბ) რა მსგავსება და განსხვავებაა ამ წყაროსა და მეორად წყაროს შორის?</u>

შეადარეთ ერთმანეთს თქვენს სახელმძღვანელოში მოცემული შინაარსი და წყაროს შინაარსი. რა მიმართებაა მეცნიერთა ნაშრომებსა და წყაროს შინაარსს შორის. გაითვალისწინეთ, რომ თუ მათი შინაარსი განსხვავდება ერთმანეთისგან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წყაროს ინფორმაცია არ არის სწორი. სავარაუდოა, რომ მეორადი წყაროს ავტორს არ გამოუყენებია თქვენი წყარო ან არ ჩათვალა საჭიროდ საკუთარ კვლევაში ჩაერთო ეს წყარო.

<u>გ) ენდობით თუ არ ენდობით ამ წყაროს?</u>
ისტორიული კონტექსტიდან და თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე (სხვა წყაროებისა და ისტორიული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ), რატომ იმსახურებს/არ იმსახურებს (თქვენი აზრით) განსახილველი წყარო ნდობას/უნდობლობას. რა ინფორმაცია ან ნიუანსები გაფიქრებინებთ, რომ ეს წყარო სანდოა. არის თუ არა ამ წყაროში ისეთი რამ, რაც სავარაუდოდ მის მცდარობაზე მიუთითებს. იფიქრეთ, რატომ თვლით წყაროს ზოგიერთ ნაწილს არასანდოდ, ხოლო ნაწილს სანდოდ. მოქმედებს თუ არა წყაროს არასანდო ნაწილები მთლიანი წყაროს სანდოობაზე.

<u>დ) კიდევ რა არის წყაროში ისეთი, რაც თქვენთვის გაუგებარი რჩება - სად შეიძლება ამ თეთრი ლაქის შესახებ ინფორმაციის მოპოვება.</u>
წყაროს დამუშავების შემდეგ, რომელი ახალი კითხვები დაგებადათ ან რომელი შეკითხვები დაგრჩათ პასუხგაუცემელი? რომელი ახალი საკითხები წარმოიშვა წყაროს კვლევის შემდეგ? დაფიქრდით იმაზე, თუ სად შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია, რომელიც თქვენს წყაროს აკლია? რომელი პირველადი ან მეორადი წყაროებით შეავსებ ამ თეთრ ლაქას?

კიტა აბაშიძე და «ჩვენი ახალგაზრდობა» - გიორგი წერეთელი

(სტილი დაცულია)

(«ცხოვრება და ხელოვნება ჩვენი ახალგაზრდობა»

კიტა აბაშიძისა, «მოამბე», 1897 წ., №7, 10)

ამ წლის «მოამბის» ოქტ-ის ნომერში ბ-ნმა კიტა აბაშიძემ დაასრულა თავისი ვრცელი სალიტერატურო სტატია «ცხოვრება და ხელოვნება» (ჩვენი ახალგაზრდობა); . . . . თავის უნებურათ, სულ სხვა დასკვნა გამოსვლია. ასეთი ამბავი ყოველთვის ემართება იმისთანა მწერალს, რომელიც უშველებელ ტემას ეკოწიწება და ძალი კი არ შეწევს შემუშავებისა . . . . განა შეიძლება იმ ლიტერატურაში მემკვიდრეობითი პროგრესიული მსვლელობა იქნეს განმარტებული და გამორკვეული, სადაც შემდეგი თაობა თავისი წინაპარი თაობის ღვაწლს არ იცნობს და არც უნდა, რომ შეისწავლოს, სულიერი კავშირი მასთან გაუწყვეტია და «მე ვარ და ჩემი ნაბადის» მეტი არა რწამს-რა, იმიტომ რომ წარსულის ცოდნასთან მწყრალათ ბრძანდება? კიდეც მაგაშია ჩვენი ლიტერატურის ორგანული სისუსტე, რომ არ გვინდა დაწვრილებით შევიტყოთ, ვინ, ან რანი ყოფილან ჩვენი წინაპრები, რა ხასიათის ბრძოლა გაუწევიათ, რა ლიტერატურული და საზოგადოებრივი იდეალების განსახორციელებლათ უმტვრევიათ თავი, ვის რა ულაპარაკნია, ვის რა შემოუტანია, ან გაუტანია ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების წინ მსვლელობაში. ჩვენი ახალგაზრდა პუბლიცისტები ყველა ამ თვისებების მესამოცე წლების მწერლებისას ერთ კალაპოტში ამწყვდევენ, გაუგონიათ, რომ მესამოცე წლების მოღვაწენი იდეალისტები ყოფილანო და ეს იმაზეა დამოკიდებული, ჩვენი ახალგაზრდა პუბლიცისტი როგორ ქეიფზე და მადაზე იქნება, როცა იმათზე მსჯელობას დაიწყებს: ხან ფარისევლური პირფერობით ზეცამდის აჰყავს ისინი, ხან მათ ქვესკნელში ატარებს და იმათ დროშას ტალახში სვრის...

მე მგონია, ყოველივე ეს იმისგან ჰხდება, რომ მესამოცე წლების ლიტერატურული მოძრაობის კრიტიკა ჯერ არ ყოფილა, იმდროის მოღვაწეების ცნობიერათ შეგნება ჯერ არავის მოუსურვებია... ამიტომ ყველანი ერთგვარათ ზერელათ სჯიან ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე და საქართველოს ერის კულტურულ მოძრაობაზე...

ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვუწოდებთ, რომელიც საქ-ში ბატონ-ყმობის გათავისუფლების წინა წლებიდან იწყება, სახელდობრ1861 წ-დან, როდესაც თ. ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტ-ული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ «ცისკარში» და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მოქმედ პირებად იყვნენ თ. ილ. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ღუმანიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზბეგი, ივ. პოლტარაცკი, მიხ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხაილ ჩიკვაია, ილ. წინამძღვრიშვილი და ვ. თულაშვილი. ამათ შემოიღეს კერძო კრებები, საცა კითხულობდნენ რეფერატებს... აი, ამ წრემ თ. ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა «საქართველოს მოამბე» 1863 წელს. ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მაშინდელმა საუკეთესო მწერლენმა, კორრექტორათ იყო ღიმნაზია ახალი კურსდამთავრებული პეტრე უმიკაშვილი.

პეტერბურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხვდა ამ ჟურნალის გამოშვებას... «საქ. მოამბემ» დაჰგმო ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, სანტიმენტალურათ შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დაჩაგრულ ბედს და შემდეგ ესევე გრძნობა გადაიტანა სამშობლოზედაც. სამწუხაროთ, ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოთ ერთი წელიწადი გაატანა. «საქ. მოამბე», როგორც მაშინდელი ახალი თაობის ჟურნალი, გამოდგა დღენაკრული. ერთ წელს შემდეგ მასთან ერთად დალია სული თვით ილ. ჭავჭავაძის ახალთაობის წრემაც. ჟურნალის მოსპობასთან ერთად ილია ჭ-ის წრეც უცბათ დაიშალა. ყველამ მოძებნა თავთავისი შესაფერი სახელმწიფო სამსახური... რაკი მეთაური და მისი წრე ახალი მოძრაობისა მოხერხებულათ დაბინავდენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართველ საზოგადოებაში ისევ ჩამოვარდა ჩვეულებრივი მყუდროება... ამ წრის წევრებს მაშინ საშიშ ლიბერალებათ იხსენებდენ... თუმცა ერთი წლის მეტათ ვერ იცოცხლა ღუმანიტარული წრის ორგანომ, მაგრამ რაც ამ წრეს ჰქონდა სათქმელი საზოგადოების წინაშე, ყოველისავე თქმა მოახერხა და თავის პროგრამაც ლიტერატურულ-პუბლიცისტურ აზრებისა, სავსებით და საბოლოვოთ გამოხატა. მეტი მას აღარა დარჩენიარა ახალი სათქმელი. ამით მან დაასრულა თავისი პერიოდი მოქმედებისა.

ეხლა მოკლეთ გამოვარკვიოთ ტეზისების მსგავსათ რა შეიტანა ამ წრემ ახალი ჩვენ საზოგადოებაში.

I. ხელოვნურ ლიტერატურაში მან დაამკვიდრა სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება...

II. პოლიტიკურ-ეკონომიურ თეორიაში ამ წრემ გაატარა აზრები ბურჟუაზიულ ეკონომისტებისა სესი და ბასტიასი.

III. საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში გაატარა თავად-აზნაურობის პატრიოტული პრინციპი წარმატებისა.

IV. საკრედიტო დაწესებულებებში მან არჩია სათავადაზნაურო და საადგილმამულო გრძელვადიანი ბანკების დაარსება.

ასეთი იყო პირველი დასის მოძღვრება...

1866 წლიდან გამოჩნდა ახალი, უფრო პროგრესული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფერაში, ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869 წ-დან 1877 წლამდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა «დროება» – «კრებულის» რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ.ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამათვე შემოუერთდა განკერძოებლათ მოღვაწე პოეტი აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი.

ამ დასმა განუწყვეტლათ იშრომა ერთათ მთელი ათი წელიწადი 1877 წლამდის. შემდეგ კი განაწილდნენ და მოხდა მათ შორის დიფერენციაცია. თეზისების გვარათ რომ გამოვარკვიოთ ამ მეორე დასის პრინციპიალური მიმართულება, დავინახავთ, რომ ამ მეორე დასს სულ სხვა

იდეალები ჰქონდა ცხოვრებაში და ლიტ-ში, ვიდრე პირველ დასს ღუმანიტარულ მიმართულებისას.

I. ხელოვნურ, ან სიტყვა-კაზმულ ლიტ-ში მან დააარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი.

II. პოლიტ-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემხრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილლის თეორიას, მაგრამ ცხოვრებაში ეს პროგრესიულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიასა და მუშა ხალხს შორის გამწვავებულ ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობითი ძალა უნდა შეერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოთ, რომ მან ალაგმოს ძალმომრეობა ბურჟუაზიისაო.

III. საზ-ივი წყობის განვითარებაში ეს დასი უარს ჰყოფდა, როგორც თავადაზნაურობას, ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიაც თანასწორი უფლებით შედიოდნენ ყველა წოდებები, არცერთისკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩევლათ, საზოგადო წეს-წყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერათ.

IV. საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ეწინააღმდეგებოდა თავადაზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგიერათ ის ურჩევდა მოკლე ვადიან სამრეწველო ბანკების წეს-წყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრეწველო კრედიტი და ერთი ამგვარი წვრილმანი ბანკი კიდეც დააარსა იმდროს თფილისში წვრილმან მოვაჭრეთათვის.

როგორც ხედავს მკითხველი, თუმცა ეს ორი დასი ორივე მესამოცე წლებში გამოვიდენ ლიტ-ის და ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ ისინი ერთმანეთში ისე განირჩევოდენ, როგორც ცეცხლი და წყალი და ლიტ-ში მუდამ პრინციპიალურათ იბრძოდენ.

ხანდახან პრაქტიკულ ასპარეზზედაც მოსვლიათ ხოლმე იმათ გამწვავებული შეჯახება.

1877 წელს გამოვიდა ჟურნალი «ივერია» და დაიწყო მეორე ხანა ღუმანიტარული მოთავის თ. ილ. ჭავჭავაძის შემოქმედებისა ლიტ-ში, მაგრამ მას ახალი აღარა წამოუყენებიარა. ჟურნალი «ივერია» იყო გაგრძელება «საქ. მოამბისა». შემდეგ მის ფრთებ ქვეშ მოიკალათა იმ ახალგაზრდობამ, რომელსაც ჩვენს ლიტ-ში უწოდეს «ტეტიათა მოტრფიალე» გუნდი, ანუ როგორც რუსის ლიტერატურაში მათ უწოდეს «ნაროდნიკები». ამ გუნდმა ლიტ-ში იგივე სანტიმენტალური მიმართულება განაახლა გლეხებისადმი, როგორც ადრე ღუმანიტარულ მიმართულების დასმა, იმ განსხვავებით კი, რომ ამათი პრინციპი უბრალო განუვითარებელი ხალხის წოდების გაღმერთება იყო. ისინი მხოლოთ ამ ნაწილს ერისას უწოდებდენ ნამდვილ ერათ, სხვა ნაწილი ერისა, თუ ვინმე იყო ქვეყანაზე არ რწამდათ...

ამ სახით ქართული ლიტ-ის ახალ ხანაში, რომელიც იწყება 60-იანი წლებიდან... საკუთრათ ორი დასი იყო: ერთი იყო ღუმანიტარული ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ხოლო მეორე – პროგრესულ-დემოკრატიული დასი «დროებაკრებულის» თანამშრომლებისა,... ამ დასმა ახალ

აზროვნების მიმართულებას გარდა, თვით მწერლობის ენაც ძირიანათ შეცვალა; მის დრომდის არსებული მწიგნობრული, ძნელათ გასაგები გადაპრეხილი ლიტერატურული ენა ადვილ გასაგებ მდაბიო ლიტერატურულ ენათ გადააქცია, რომლისთვისაც დიდათ გაბრაზდენ მაშინდელი პარნასის მთის ღმერთები. თვით გრ. ორბელიანმა მთელი ტრაქტატი დაწერა «დროება-კრებულის» თანამშრომლების წინააღმდეგ, მაგრამ ცხოვრების პროგრესიული მსვლელობა ენის განვითარებაში, მის განმარტივებაში ვერც ამ ბუმბერაზმა შეაჩერა.

1890 წლიდან დაჰბერა კვლავ ახალმა პროგრესიულმა სიომ. ქართულ ლიტ-ში გამოჩნდა არა ჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდა, რომელმაც თავი იჩინა «კვალში» 1893 წ. თავისებური პროგრამით. ესენი არიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევარნი. ამ დასის მეთაურათ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ნინოშვილი, ხოლო პუბლიცისტიკაში ნოე ჟორდანია.

ერთ მეორე დასელთაგანს ბ-ნ გ. წერეთელს წილათ ხვდა ყველაზე ადრე შეენიშნა ეს ახალი პროგრესიული მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში და იმანვე მონათლა ახალი ჯგუფი მესამე დასათ.

ეს ჯგუფი რომ ნამდვილ მემკვიდრეთ უნდა გახდეს მეორე დასისა, ანუ «დროება-კრებულის» თანამშრომლებისა, ამას თვით ლიტერატურულ-პუბლიცისტური ფაქტები წარსულისა ცხადათ ამტკიცებს. აი, რანაირათ ახასიათებს 1873 წლის «კრებულში» მაშინდელი მეფელეტონე ნ. ნიკოლაძე კაპიტალისტურ წარმოების მომენტს ამ ახალ მოვლენილ ჭირ-ვარამს საქართველოს ნიადაგზე: «ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია დამშვიდდა და ქართლის ხალხი ჩადგა ისევ თავის ჩვეულებრივ კალაპოტში,.. საქ-ოს ბურჯი და ალაყაფის კარები –თფილისი – გაივსო სხვადასხვა რჯულის ხალხით და შეიქმნა არამც თუ საქართველოს ერის, მთელი კავკასიის მილეთის სავაჭრო წერტილათ. მაგრამ ნამდვილათ ვინ შეიქნა დედაქალაქის პატრონი? ფეხტიტველათ გადმოვარდნილი... სომხები, რომლებმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუცელიც გამოიძღეს, სიმდიდრეც მოიპოვეს და მთელი ქართლ-კახეთის მიწა-წყალი, როგორც თვით თფილისი, ზოგი დაისაკუთრეს, ზოგი ფულში დაიგირავეს; აი, რა მოახერხა მკვირცხლმა მოვაჭრემ, ღატაკმა უცხო ქვეყნიდან გადმოვარდნილმა უმიწა-წყლო ხალხმა».

«ერთი მხრით ჩვენი თავადაზნაურობის დასუსტება, დაქვეითება და მეორე მხრით მშრომელი ხალხის სულის ჩადგმა, იმის წინსვლა ეკონომიურათ, აი, ერთი დიდი სანუგეშო ნიშანთაგანი იმ დროისა, რომელიც გვიქადის ჩვენ გამარჯვებას».

ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სიტყვები წარმოითქვა «კრებულში» მეორე დასის წარმომადგენლისაგან ამ ოცდახუთი წლის წინათ. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ იმავ მეორე დასის, ესე იგი «კრებულდროების» წარმომადგენელმა პირველათ აიღო ალღო სალიტერატურო ასპარეზზე მესამე დასის მოვლენისა; არც ის არის გასაკვირი, რომ მეორე დასის წარმომადგენელმა თავის ნამდვილ მემკვიდრეს – მესამე დასის წარმომადგენლებს – გადაუშალოს ვრცლათ თავისი ორგანოს ფურცლები. ასეთ ამბავს მხოლოთ ის ვერ გაიგებს, რომელსაც არც წარსული ჩვენი ლიტ-ისა შეუსწავლელია და ვერც ახლანდელი გარემოება ჩვენი ცხოვრების მისწრაფებისა შეუგნია.

მხოლოდ ასეთ უნიადაგო ახალგაზრდას შეუძლია გულის სიმწარით წამოიძახოს: «მესამე დასელებმა ბ. გიორგი წერეთელი (რომელიც ყოველთვის გარკვეულ გზას ადგა თავის მწერლობაში) თავისებურათ მოარჯულესო, მათი მეთაურობა აკისრებინესო და მისი ჟურნალიც მათ დაუსაკუთრაო». ბ. კიტა აბაშიძეს რომ კარგათ ჰქონოდა შესწავლილი წარსული მოძრაობა ჩვენი ლიტ-ისა, უეჭველათ უფრო სამართლიანათ გამოთქვამდა თავის აზრს. ის იმას კი არ იტყოდა, რომ «გ. წერეთელი მესამე დასელებმა მოარჯულესო», არამედ გიორგი წერეთელი, როგორც წარმომადგენელი მეორე დასის კულტურული თაობისა, დიდი ხანია, მოელოდა მესამე დასს და კიდეც მოუვიდაო».

«კვალი», 1897 წელი, №46. ხელმოუწერელია.